

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 11

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2018 წლის 22 ნოემბერს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 12:00 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - დავითი ხუხია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ნანა ალანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - თათია ჯინჯოლავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ - ზურაბი აფაქიმე; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ბესიკი ნარმანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - ზურაბი წურწუმია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს მოადგილე - ლევანი გაბელია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - გენადი ხუხუნი; საკრებულოს წევრები: თამარი სალაყაია; თეიმურაზ ვახანია; მათა ადამია; დინარა ხარბედია; როზმანი ქამადაძე; დათო ადამია; იური ქორიძე; მალხაზი ტორჩინავა; ელისო ცაგურია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: რ. თოდუა; შ.პ.ს. „სენაკის სამშობიარო სახლის“ დირექტორი - ვ. ვახანია; შ.პ.ს. „სენაკის სამშობიარო სახლის“ ეკონომისტი - დ. ხუხია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი - ვ. რუსია, აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი.

დღის წესრიგი:

სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დ. ალანია
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ ხუხია

სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელწიფო შესყიდვის დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ბადრი კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: დ ხუხია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 18; წინააღმდეგი – 2;) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დ. ალანია
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ ხუხია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 20; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.:ქ. სენაკი, შ. რუსთაველისქ. №247).

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელწიფო შესყიდვის დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ბადრი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელწიფო შესყიდვის დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 20; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას სატენდერო დოკუმენტაციის (NAT180016907) შესაბამისად დადოს ხელშეკრულება ს.ს „არქეოპოლისთან“1243352 (ერთი მილიონ ორასმორცდასამი ათას სამასორმოცდათორმეტი) ლარზე.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და ს.ს „არქეოპოლისს“.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 3. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: დ. ხუხია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიისა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის ერთობლივი სხდომის შენიშვნა „სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ – დადგენილების პროექტზე:

1). „სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტში შემცირდეს:

1. სოციალური პროექტების თანადაფინანსება (კოდი-060220)- 6 000 ლარით.
2. დღის ცენტრი აიპ „ლაზარე-215“ თანადაფინანსება (კოდი-060219)- 6 000 ლარით.
3. სენაკის მუნ. მზრუნვ. მოკლ.კვ. უზრუნვ. პროგრამა (კოდი-060201)- 15 000 ლარით.
4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (კოდი- 0601)- 19 500 ლარით.
5. საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა(კოდი-0506)- 2 000 ლარით.
6. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა(კოდი-0505)- 20 000 ლარით.
7. მოსწ. ახალგ. კულტ. განვ. ხელშეწყ. პროგრამა (კოდი-050201)- 28 000 ლარით.
8. ტრადიც. და თანამედ. ხელოვნ. ხელშეწყ. პროგრამა(კოდი-050202)- 23 000 ლარით.
9. სპორტის ხელსეწყობის პროგრამა(კოდი-0101)-28 000 ლარით.
10. განათლების ღონისძიებების პროგრამა(კოდი-0404)- 20 000 ლარით.
11. სოფლის მეურნეობის ღონისძიება(კოდი-0309)- კოდი-2 500 ლარით.
12. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა(კოდი- 030204)- 20 000 ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები (კოდი-0101) - 63 000 ლარით.

2. შევიდეს ცვლილება:

ა).სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების ქვეპროგრამაში (პროგრ. კოდი06.02.08) კერძოდ, სამკურნალო სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50% -ით, მაგრამ არა უმეტეს 800 ლარისა (ნაცვლად 600 ლარის).

ბ). ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა(კოდი- 06.02.06), სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე დახმარება გაიზარდოს 3 000 ლარით (ნაცვლად 2 500 ლარის).

გ). სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა (კოდი- 06.02.17) - დაკმაყოფილდეს გასულ წლებში აღრიცხული ბენეფიციარები, რომლებიც კომისიურად შემოწმებული არიან და შედგენილია აქტი, მათზე გაიცეს 2 000 ლარის ფარგლებში საამშენებლო მასალა, გასულ წლებში(2016-2017წ.წ.) არსებული პროექტის მიხედვით. ასევე, გადამოწმდეს გადაცემული მასალის მიზნობრიობა და შედეგის საფუძველზე გადაწყდეს პროექტის გაგრძელების აუცილებლობა.

3. სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა (კოდი 0405) - 100 000 ლარით.

4. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას:

ა). წარმოადგინოს მოსახლეობის მიერ პეტიციით ინიცირებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების (2017 - 2019 წ.წ.) შესრულების გრაფიკი.

ბ). წარმოადგინოს სენაკის მუნიციპალიტეტში პარკირების მოწესრიგების გეგმა (საფასური, პირობები და ა. შ.)

აზრი გამოთქვას:

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა - ბესიკი ნარმანიამ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია, 1. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის (კოდი-0505) – 20 000 ლარით შემცირება და სპორტის ხელშეწყობის პროგრამის (კოდი-0101) – 28 000ლარით შემცირებას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია შემცირდეს სენაკის მუნ. მზრუნვ. მოკლ.კვ. უზრუნვ. პროგრამა (კოდი-060201)- 15 000 ლარით და საკრებულოს წევრებს მიმართა თხოვნით ერთობლივი კომისიის მიერ წარმოდგენილ შენიშვნაში სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა (კოდი 0405) - 100 000 ლარის ნაცვლად, დაფინანსდეს 85 000 ლარით და 15 000 ლარი დაუბრუნდეს სენაკის მუნ. მზრუნვ. მოკლ.კვ. უზრუნვ. პროგრამას (კოდი-060201). რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მერიას ერთობლივი კომისიის სხდომის შენიშვნა წარედგინოს ცვლილების გათვალისწინებით. კერძოდ:

1). „სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტში შემცირდეს:

1. სოციალური პროექტების თანადაფინანსება (კოდი-060220)- 6 000 ლარით.
2. დღის ცენტრი აიპ „ლაზარე-215" თანადაფინანსება (კოდი-060219)- 6 000 ლარით.
3. სენაკის მუნ. მზრუნვ. მოკლ.კვ. უზრუნვ. პროგრამა (კოდი-060201)- 15 000 ლარით.
4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (კოდი- 0601)- 19 500 ლარით.
5. საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა(კოდი-0506)- 2 000 ლარით.
6. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა(კოდი-0505)- 20 000 ლარით.
7. მოსწ. ახალგ. კულტ. განვ. ხელშეწყ. პროგრამა (კოდი-050201)- 28 000 ლარით.
8. ტრადიც. და თანამედ. ხელოვნ. ხელშეწყ. პროგრამა(კოდი-050202)- 23 000 ლარით.
9. სპორტის ხელსეწყობის პროგრამა(კოდი-0101)-28 000 ლარით.
10. განათლების ღონისძიებების პროგრამა(კოდი-0404)- 20 000 ლარით.
11. სოფლის მეურნეობის ღონისძიება(კოდი-0309)- კოდი-2 500 ლარით.
12. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა(კოდი- 030204)- 20 000 ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები (კოდი-0101) - 63 000 ლარით.

2. შევიდეს ცვლილება:

ა). სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების ქვეპროგრამაში (პროგრ. კოდი 06.02.08) კერძოდ, სამკურნალო სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50% -ით, მაგრამ არა უმეტეს 800 ლარისა (ნაცვლად 600 ლარის).

ბ). ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა(კოდი- 06.02.06), სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე დახმარება გაიზარდოს 3 000 ლარით (ნაცვლად 2 500 ლარის).

გ). სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა (კოდი- 06.02.17) - დაკმაყოფილდეს გასულ წლებში აღრიცხული ბენეფიციარები, რომლებიც კომისიურად შემოწმებული არიან და შედგენილია აქტი, მათზე გაიცეს 2 000 ლარის ფარგლებში საამშენებლო მასალა, გასულ წლებში(2016-2017წ.წ.) არსებული პროექტის მიხედვით. ასევე, გადამოწმდეს გადაცემული მასალის მიზნობრიობა და შედეგის საფუძველზე გადაწყდეს პროექტის გაგრძელების აუცილებლობა.

3. სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა (კოდი 0405) - 85 000 ლარით.

4. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას:

ა). წარმოადგინოს მოსახლეობის მიერ პეტიციით ინიცირებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების (2017 - 2019 წ.წ.) შესრულების გრაფიკი.

ბ). წარმოადგინოს სენაკის მუნიციპალიტეტში პარკირების მოწესრიგების გეგმა (საფასური, პირობები და ა. შ.)

შენიშვნა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიისა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის ერთობლივი სხდომის შენიშვნა ოქმს თან ერთვის.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 18; წინააღმდეგი – 2) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 91-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გადაეგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას „სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ – დადგენილების პროექტი აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ბადრი კალანდარიშვილი

სხდომის მდივანი:

მანანა სიორდია